თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3736403

ნომერი: AR1560825

თარიღი : 27.11.2017

გაცემის თარიღი : 14.12.2017

გაცნობის თარიღი : 15.12.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქ. სამხედრო გზასა და დიდი დიღმის შემაერთებელი მაგისტრალის გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ნებულიშვილი პ/ნ 31001000281
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 9 ბ. 13

ორგანიზაცია:
- შპს ფრეგო კოდი: 404440084

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

სამსახურში ფიქსირდება AR1409593 განცხადება, სარეკლამო აბრის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც გაიცა წერილობითი თანხმობა №2642849 გადაწყვეტილებით. ვინაიდან აღნიშნული განაცხადით გათვალისწინებული სამუშაოები დარღვევით არის განხორციელებული (ნაწილობრივ არის შესრულებული), საჭიროა საკითხი დაყენებულ იქნას №2642849 გადაწყვეტილების კორექტირების კუთხით, ასეთ შემთხვევაში სამსახური იმსჯელებს დარეგისტრირებული ახალი განაცხადის ფარგლებში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

რაც შეეხება ცალკე მდგომ სარეკლამო აბრას, „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 35–ე მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში სარეკლამო აბრის განთავსება დაუშვებელია ქუჩის მიმდებარე გამწვანებულ ზოლზე, გაზონზე ან/და სხვა სახის გამწვანებულ ტერიტორიაზე. შესაბამისად, ვინაიდან ცალკე მდგომი ფასების მაჩვენებელი აბრა განთავსებულია გზისპირა გამწვანებულ ზოლზე, ტერიტორიის შესასვლელთან, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ კონკრეტულ ადგილზე მისი განთავსება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.